

## პროგრესი ჩანს

თბილისი. "ლოკომოტივის" სტადიონი. 10 აპრილი.

"დინამო" (თბილისი) – "სპარტაკი" (მოსკოვი) 1:0 (1:0).

"დინამო": გოგია, ხიბანიშვილი, ჭელიძე, ხინჩაგაშვილი, მუჯირი, ძოძუაშვილი (ჩელებაძე), მ. მაჩაიძე, ქორიძე, გუცაევი, ყიფიანი, დარასელია.

"სპარტაკი": ვლადიუშჩენკოვი, ვლ. ბუკოვსკი, აბრამოვი, ვიქ., ბუკიევსკი, სამოხინი, განაჩანიანი, რედინი, პილიპკო, გლადილინი (მურაშვილცევი), პაპაევი, სმირნოვი.

მსაჯი: ი. სერგიენკო (ხარკოვი).

თბილისის "დინამოს" | ტურის სარეცენზიო წერილში სპორტის დამსახურებული ოსტატი გ. გაგუა აღნიშნავდა, რომ წლევანდელი ჩემპიონატის დასაწყისში ჩვენი გუნდი გაცილებით უკეთ თამაშობს, ვიდრე შარშან ამავე დროს. ეს არა მარტო ვეტერანის გამოცდილმა თვალმა შეამჩნია, არამედ ყველამ, ვინც კი მატჩს უყურებდა.

მე მეორე მატჩის რეცენზირება შემომთავაზეს და ჩემი მოვალეობა, საბედნიეროდ, ერთობ სასიამოვნო შესასრულებელი გახდა: ჟერ ერთი, დინამოელებმა 2 ქულის აღება შეძლეს მეტოქესთან, რომელიც გამარჯვებული ჩამოვიდა ერევნიდან და, საერთოდ, წლეულს დიდი ამოცანები აქვს დასახული. მეორეც, შარშანდელი ჩემპიონატის მეორე თამაში, თუ გახსოვთ, თბილისელებმა თავიანთს მინდორზე წააგეს "ზენიტთან" და ამ პერიოდისთვის 4 შესაძლებლიდან სულ 1 ქულა ჰქონდათ. ახლა კი მატჩი მოგებულია და გუნდის აქტივიც სამ ქულას უდრის.

მაგრამ მარტო ეს "საფინანსო" გამოთვლები არ შეადგენს ჩვენი კმაყოფილების მთავარ მოტივებს. სასიხარულოა უფრო ის, რომ თბილისის "დინამოს" თამაშში ნათლად იგრძნობა პროგრესი, მონდომება, მეტია მოძრაობა, დინამიკა. გუნდის შემადგენლობაში ფაქტურად არაა დიდი ცვლილებები, მაგრამ იგი უფრო მობილიზებულად და უნარიანად იბრძვის. უკეთესია ურთიერთდაზღვევა, შეთამაშება, ფეხბურთელები არ იჩარებენ საჭიროების შემთხვევაში გააკეთონ ამხანავის საქმე, დროულად ეშველებიან ერთმანეთს, ასწორებენ სხვათა შეცდომებს, ძალების დაუზოგავად მოქმედებენ ვრცელ ტერიტორიაზე. ეს ნიშნავს, რომ კოლექტივში ერთსულოვნება სუფეს, გამარჯვების ტონუსი სათანადო სიმაღლეზე დგას.

შარშან კი ყველაფერი ეს გუნდს აკლდა. ჩვენ დინამოელებს ვუსაყვედურებდით, რომ არ ჰქონდათ საჭირო აგრესიულობა, იშვიათად ქმნიდნენ სახიფათო მომენტებს, იშვიათად ურტყამდნენ კარში. ახლა სულ სხვა სურათია. განვლილ მატჩებში საგოლე სიტუაციები საკმაოდ იყო. შორიდან კარში ურტყამდნენ ქორიძე, ყიფიანი, გუცაევი, დარასელია... მე-15 წუთზე ქორიძემ შორიდან ძლიერად დაარტყა კარში, ვლადიუშჩენკოვმა კუთხურზე შეძლო ბურთის გადაყვანა, დარასელიამ კარგად მოაწოდა იგი და ქორიძემ დაამთავრა საქმე.

დინამოელებს ხშირად უსაყვედურებენ და სავსებით სამართლიანადაც, რომ ისინი გაუმართლებლად, უსარგებლოდ ატარებენ ბურთს შეა მინდორში და ყოვნდებიან სწორედ იქ, სადაც ყველაზე სწრაფად უნდა გადაიჭრას საიერიშო კომბინაციის წამოწყების საკითხი. განვლილ მატჩში ასეთი დაყოვნებები ნაკლები იყო, დრიბლინგი ცენტრალურ ზონაში შეცვალა გადაცემებმა და, თუმცა ეს გადაცემები მუდამ ზუსტი არ იყო, შეტევის განვითარება საგრძნობლად დაჩქარდა.

აქ ერთი შენიშვნა მაინც მინდა გამოვთქვა: არის მომენტები, როცა თავდამსხმელს მხოლოდ წამი აქვს თავის განკარგულებაში და, თუ ამ მომენტში არ გადასცეს ბურთი, მერე გვიანაა. მას მაშინვე კეტავს მოპირდაპირე მცველი. ჩვენ კი ხშირად ვართ მოწმენი, რომ თბილისელთა რამდენიმე თავდამსხმელი მოსწყდება მეტოქეს, იხსნება ცოტა დროით, ხოლო გადაცემა იგვიანებს, ბურთი სულ სხვა მისამართით, ზოგჯერ უკანაც იგზავნება და უკვე გაკეთებული საქმე ხელახლა გასაკეთებელი ხდება, თანაც გაცილებით ძნელ ვითარებაში. რაციონალური თამაშის პრინციპები ასეთი ხელსაყრელი მდგომარეობის სწორად გამოყენებას მოითხოვს.

პირველ ტაიმშიც და შესვენების შემდეგაც იყო პერიოდები, როცა სპარტაკელებმა საკმაოდ ხანგძლივი დროით ხელთ იგდეს უპირატესობა და ძლიერი შეტევები განავითარეს, მაგრამ დინამოელთა დაცვის რიგების მთლიანობა არ დარღვეულა. მათ კარგად ეხმარებოდნენ ნახევარმცველები, ენერგიულად ითამაშეს ამ ზონაში ქორიძემ და დარასელიამ, საიმედოდ იდგა კარში გოგია.

პრეტენზია გვაქვს ყიფიანის მიმართ. იგი ახლა გუნდის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელია და მისი თამაშის ეფექტუანობაზე ბევრი რამაა დამოკიდებული, დათო კი მთელ თამაშს თანაბარი სიძლიერით არ ატარებს, დროდადრო ეთიშება აქტიურ ბრძოლას, „იკარგება“ მინდვრის სიღრმეში. მატჩის ბოლოს მან ორი ისეთი ინდივიდუალური გარღვევა შეასრულა, თვალი დაგრჩებოდათ, ყიფიანი დიდი ძალაა და ეს ძალა მთელი 90 წუთის მანძილზე მაქსიმალურად უნდა იყოს გამოყენებული.

თ. გუგუნავა, სპორტის ოსტატი, თბილისის „სპარტაკის“ ყოფილი მოთამაშე, რესპუბლიკის დამსახურებული ექიმი.

“ლელო”, 13 აპრილი, 1976 წ.